ლიტერატურული წყაროების მონაცემების საფუძველზე ამ სახეობის კლასიკური ადგილსამყოფელად ცნობილია „ირანი“ და ლენქორანი [6,14]. ტიპი ინახება ლენინგრადში აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში. ჩვენს ხელთ არსებული ზემოაღწერილი აუტენტიკი „174“ წარმოადგენს 1913 წელს ლენინგრადის მაშინდელი პეტერბურგის ბოტანიკური მუზეუმის ფონდიდან გაცემის წესით მიღებულ ეგზემპლარს (ალექსეენკოს მიერ—1897 წ. შეკრებილი და განსაზღვრული), რომელზედაც მოცემულია გ. ვორონოვის „Notae criticae 1913 წელი. *Ruscus hyrcanus* G. Wor.“.

როგორც დედან დიავნოზშია აღნიშნული, ი. ვორონოვს სახეობა *R. hyrcanus*-ის დადგენის დროს მხედველობაში ქონდა ზემოაღნიშნული ალექსეენკოს საჰერბარიო ეგზემპლარებიც. ამის საფუძველზე ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აუტენტიკი N—174 მივიღოთ როგორც კოტიპი. აღნიშნული სახეობა იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებში. გვხვდება აზერბაიჯანის სსრ (ლენქორანში). საერთო გავრცელება: ირანი.

5. *Scilla armena* Grossh. in Monit Jard. Bot. Tifl. ser. II 3. (1927) 198.
—*S. Sibirica* f. *monantha* G. Bordz. in Fl. Cauc. exs. (1909). n° 334.

კლასიკური ადგილსამყოფელი: სამხრეთ საქართველო.
Locus classicus: Georgiae australis.

იზოტიპი: ახალქალაქის მახლობლად, მთა ტაუშან, მაღლობებზე და ბაზან-ხოვან ფერდობებზე. 5600'. შემგრ. და გამსაზღვრ. ე. ბორდზილოვსკი, დაკულია თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰერბარიუმში.

Isotypus: Prope Achalkalaki, in collibus et decliv. herbosis m. Tauschan. 5600' 12/25. IV.1907. Leg. et determ. E. Bordzilowsky. In herbario Musei Georgici conservatur (Tbilissi).

პირველადი დიაგნოზი: *Scilla armena* Grossh. Bulbus mediocris tunicis griseis. Folia bina, saepissime falcato-patentia v. falcato-recurva, oblongo-lanceolata, 2—5 mm lata. Scapus 8—15 (ad 30) cm. altus, uniflorus, rarissime biflorus. Bractee binae, minimae. Perigonii phylla elliptico-linearia v. oblonga. (9) 10—13 (16) mm. longa, 3—5 mm. lata, intense-caerulea, linea media saturatiore. Filamenta linearia. Capsula obtuse trigona, globoso-ovata.

Syn. *S. sibirica* f. *monantha* E. Bordzilowsky. in. N. A. Busch. V. V. Marcowicz, G. N. Woronow, Fl. Cauc. exsic. № 334.—*S. sibirica* f. *alpina* Mischtschenko in Schedis. pp.

Specim. exim. Грузия: Атени Горийск. у. правый берег р. Тана, между кустарниками, Цв. 27.II.27. Д. Сосновский (sub. *S. cernua*)—Ахалкалаки, на г. Тавшан, 5600'; травянистые склоны. Цв. 12.IV.07. Е. Бордзиловский (Sub. *S. sibirica* f. *monantha* sp. auth.)... [3]

Scilla armena Grossh. საჰერბარიუმო ნიმუში N—175. (exs. 334). სურ. 5.

ზემოაღნიშნული აუტენტიკი შეიცავს ერთ საჰერბარიო ფურცელს, რომელიც მოთავსებულია სქელი ქაღალდის ყდაში. ამ უკანასკნელზე, ქვედანაწილში, მარჯვენა მხარეს აღნიშნულია მცენარის სახელწოდება: „*Scilla armena* Grossh.“ და მარცხნივ—ჰერბარიუმის რიგითი ნომერი: „175“.

როესი ფერის სქელ საჰერბარიო ფურცელზე დამაგრებულია ორი მცენარე. მათი სიგრძე 12 სმ არ აღემატება. თითო მცენარეზე დაკულია ორი ფოთოლი, ერთი ყვავილი და ერთი ბოლქვი. საერთო ჰაბიტუსით, ზემოაღნიშნული სახეობა, ჰერბარიუმში სრულად არის წარმოდგენილი.

საჰერბარიო ფურცელზე, ქვედა მხარეს, მარცხნივ მოთავსებულია ეტიკეტი, ზომით 8×13 სმ, მასზე დაბეჭდილია: „*Editio Horti Botanici Imperialis Petropolitani*. N. A. Busch. B. B. Marcowicz, G. N. Woronow. Flora caucasica excicata 334. *Scilla sibirica* Andrews. Bot. Rep. 365.—*S. cernua* (Delar.) in Redoute, Liliac. tab. 298!—Ledeb. Fl. Ross. IV.157.—Boriss. Fl. Or. V. 226.—Шмалер. Фл. II. 499“.

S. sibirica f. *monantha* E. Bordzil. scapis unifloris Folia individuorum in locis umbrosis v. inter herbam densam crescentium erecta, specimium autem e locis apricis falcato-patentia v. falcato-recurva; scapi $4\frac{1}{2}$ —37 cm (saepius—8—20 cm) alti; bractee binae perigonii phylla elliptico-linearia v. oblonga v. ovalia, 9—16 mm longa, $3\frac{1}{3}$ — $5\frac{3}{4}$ mm lata, coerulea, linea media saturatiore, interiora saepe praesertim in parte inferiore, delutiora; filamenta linearia, apice attenuata, perigonio $1\frac{1}{2}$ —2 plo breviora; capsula obtuse trigona globoso-ovata.

Armenia Rossica. Prope Achalkalaki, in collibus et decliv. herbosis m.
 Tauschan 5600'. 12/25 IV.1907. Leg. et det. Eug. Bordzilowsky*.

ეტეტიკტზე ზედა ნაწილში, მარჯვენა მხარეს აღნიშნულია კოლექციის პირველადი საშემოსავლო ინვენტარული ნომერი: 45—10 და ჰერბარიუმის რიგითი ნომერი: „175“ ამ ეტიკეტის გვერდით, მარჯვენა მხარეზე, მოთავსებულია ა. გროსჰეიმის ეტიკეტი (ზომით 2,5×8,5 სმ), რომელზედაც აღნიშნულია (ა. გროსჰეიმის ხელით) მცენარის სახელწოდება „Scilla armena A. Grossh. VIII.25.

შენიშვნა: ლიტერატურული წყაროებისა და საქრბარიო მასალების მონაცემებმა ცხადყო, რომ სახეობა Scilla armena A. Grossh. დადგენილია ა. გროსჰეიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან ე. ბორძილოვსკის მასალების მიხედვით.

ამ სახეობის იზოტიპს წარმოადგენს ზემოაღწერილი აუტენტიკური ეგზემპლარი N—175 (ჰერბარიუმის გამოცემა—334). ამ გარემოებას ადასტურებს აგრეთვე ის, რომ თვით ავტორს—ა. გროსჰეიმს დედან დიაგნოზში მოყვანილი აქვს შემდეგი: „Silla sibirica f. monantha sp. auth.“ [3]. ტიპი დაცულია ლენინგრადში.

სახეობა Scilla armena Grossh. იზრდება ღია ბალახოვან ფერდობებზე 1500—2100 მეტრის სიმაღლეზე. გვხვდება საქართველოს სსრ (ქართლი, ჯავახეთი, მესხეთი) და სომხეთის სსრ.

საერთო გავრცელება: აღმოსავლეთი ანატოლია (თურქეთის სომხეთი).

6. *Scilla caucasica* Misch. Tr. Бюро по Прикл. Бот. 2. (1912) 48 и 56.

კლასიკური ადგილსამყოფელი: ყარაბაღი. (მთა მუროვ-დაღი).

Locus classicus: Karabach. (m. Murov-dag).

ტიპი: აზერბაიჯანი. ელიზბეტპოლის გუბერნია. ხანაგეი, სადგურ ტერტერის მახლობლად. ტყე, მუროვ-დაღის წინა მთებზე. 16.IV.1908. შემგვრ. ა. ფლორენსკი. დაცულია თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰერბარიუმში.

Typus: Azerbajdjan. Prov. Elisabethpol. loc. Chanagei, prope Station. ferrov. Terter. in coll. m. Murov-dag, in silva. 16.IV.1908. Leg.: A. Florenski. In herbario Musei Georgici conservatur. (Tbilissi).

Scilla caucasica Misch. Ахундов во фл. Азерб. II (1952) 175. (descr. emend.).

Bulbus late ovatus, interdum ovatus, ad 2,8 cm altus et 2,2 cm latus, vaginis griseis, saepe subnigris tectus. Caules 6—20 cm alti unus vel aliquot ex bulbo uno orientes. Folia 2—4, atro virentia, late linearia, 6—15 mm lata, caule breviora, apice mitraeformia. Inflorescentia racemus multiflorus vel pauciflorus. Bracteae acutae, ad 2—4 mm longae, albae, scariosae. Pedicelli floribus longiores post anthesin nutantes. Perianthii phylla oblongo-elliptica, obtusa, ad 12 mm longa, atro-coeruleo-violacea, stria mediana atrata. Stamina antheris caesiis perianthto duplo breviora. Fructus capsula globosa.

III—IV.

Hab. As. SSR. Mk. borealis—Mk. centralis—Lene. mont. in regione montana media in silvis et fruticetis. Distr. In URSS Caucasus. Transcaucasia orientalis. Tal. Descript. ex As. SSR (mons. Murov-dag).

Scilla caucasica Misch. საპერბარიუმო ნიმუში N—7880, სურ. 6.

ზემოაღნიშნული სახეობის აუტენტეკი შეიცავს ერთ საპერბარიო ფურცელს.

სქელ ნაცრისფერ ქალაღზე (ზომით 24×29 სმ) დამაგრებულია სამი მცენარე, უბოლქვოდ. მცენარეები ყველა თავისი ნაწილებით პერბარიუმში სრულად არის დაცული (მცენარეები აღებულია ყვავილობის პერიოდში).

საპერბარიო ფურცელზე მარცხენა მხარეს, ქვედა ნაწილში მოთავსებულია ორი ეტიკეტი. პირველ ეტიკეტზე აღნიშნულია: „Herbarium Musei Caucasic. Flora caucasica. Scilla Hohenackeri F. et M. Имение Ханакей бл. ст. Тертерской (Джеванширский у.) лес, на предгорьях Муров-дага. 16.IV.1908. leg. A. Florenski. det G. Woronow“. ეტიკეტზე აღნიშნულია კოლექციის ნომერი: „17—08“ და პერბარიუმის რიგითი ნომერი „7880“.

ზემოაღნიშნული ეტიკეტის ზემოთ მოთავსებულია ავტორის (მიშჩენკოს) ეტიკეტი (ზომით 9×6 სმ), ეტიკეტზე მიშჩენკოს ხელით დაწერილია მცენარის სახელწოდება: „*Scilla caucasica* m. დაბეჭდილია: „teste: P. Mischtenko“.

საპერბარიო ფურცელი მოთავსებულია სქელი ქალაღის ყდაში, რომელზედაც აღნიშნულია მცენარის სახელწოდება: „*Scilla caucasica*“ და პერბარიუმის ნომერი: „7880“.

შენიშვნა: სახეობა *Scilla caucasica* Misch. აღწერილია აზერბაიჯანიდან — მთა „მუროვ-დაღი“ და გამოქვეყნებულია 1912 წელს [9]. ავტორს ამ სახეობის ლათინური დიაგნოზი არ მოუცია.

შემდეგში ა. გროსპეიმს თავის შრომაში „Пролески Кавказа“ მითითებული აქვს სახეობა *Scilla caucasica*-ს კლასიკური ადგილსამყოფელი: Елизаветп. г. им. Ханакей бл. ст. Тертер. лес на предгорьях Муров-дага. 10.IV.08. Флоренский. ამ ნაშრომშივე ა. გროსპეიმს მოყვანილი აქვს აგრეთვე: „teste Воронов sub. S. Hohenackeri; teste Мищенко. sp. auth“ [3]. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სახეობა *Scilla caucasica*-ს ზემოაღწერილი აუტენტეკური ეგზემპლარი—N—7880, რომლის შინაარსი სავსებით ემთხვევა ა. გროსპეიმის მონაცემებს, მივიღოთ როგორც ამ სახეობის დედანი ნიმუში—ტიპი, რომლის ერთი ცალი დაცულია თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

სახეობა *Scilla caucasica* Misch. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში. გვხვდება აზერბაიჯანის სსრ.

7. *Tulipa Schmidtii* Fomin. Вестн. Тифл. Бот. Сада. 14. (1909) 47.

კლასიკური ადგილსამყოფელი: ლენქორანი „ეშაკტში“.

Locus classicus. Lenkoran-„Echaktschi“.



ტიპი: ბაქოს გუბერნია, ლენქორანის მაზრა, სოფ. ეშაკტში, შემგროვებელი კახიკოვი და შელკოვიკოვი. 29.IV.1907. დაცულია თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჰერბარიუმში.

Typus: Prov. Baku. Distr. Lenkoran. p. Echaktschi. 29.IV.1907. legit. Kazn. Schelkovnikov. In herbario Musei Georgici conservatur (Tbilissi).

პირველადი დიაგნოზი: *Tulipa Schmidtii* Fomin. Bulbo magno rotundo $4\frac{1}{2}$ cm alto et 5 cm lato tunicis intus dense lanato-pilosis obsito, caule elato cum pedunculo glaberrimo, foliis 6—10 approximatis glaucis, omnibus valde obtuse carinatis margine ciliatis, inferioribus oblongis vel oblongo-lanceolatis, superioribus lineari-lanceolatis et linearibus perigonio coccineo erecto magno ad 8-9 cm longo, perigonii phyllis exterioribus late-oblongis attenuato-acuminatis, interioribus obovatis obtusis, plus minus longe mucronatis omnibus basi macula late-rhomboida fere obovata magna nigra flavido cincta apice emarginata vel subtridentata notatis, staminibus perigonio $2\frac{1}{2}$ —3-plo brevioribus, filamentis glabris atro—purpureis anthera duplo longioribus, ovario conico-trigono apice cum stigmatibus intense coccineo. 4.

Habitat ad pagum Eschaktschi prov. Baku distr. Lenkoran, ubi clarissimis A. N. Kaznakovio et A. B. Schelkovnikovio detecta est.

Tulipa Schmidtii Fomin. სურ. 7.

ზემოაღნიშნული სახეობის აუტენტიკი შეიცავს ორ საჰერბარიო ფურცელს, რომელიც მოთავსებულია სქელი ქაღალდის ყდაში. ამ უკანასკნელზე აღნიშნულია მცენარის სახელწოდება *Tulipa Schmidtii* Fom. და ჰერბარიუმის ნომერი: 192—193.

საჰერბარიო ნიმუში N—192.

სქელ, ნაცრისფერ ქაღალდზე (ზომით 48×28 სმ) დამაგრებულია ერთი მცენარე (*Tulipa Schmidtii*) სიმალით 52 სანტიმეტრი. ბოლქვი ღეროზე მოტეხილია და იქვე საჰერბარიო ფურცელზეა დამაგრებული (ზომით $3 \times 3,6$ სანტ.) რომელიც, გარედან მკრთალი წითელი ფერის ქერქლებითაა დაფარული. მოყვანილობით მომრგვალოა, ღერო დაღარულია, შუა ნაწილში შეფოთლილია. ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი, ფოთოლთა რიცხვი 9, მათი ზომა 6—20 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს. ღერო ბოლოვდება ერთი მოზრდილი ყვავილით, ეს უკანასკნელი ყველა თავისი ნაწილით სრულად არის დაცული (ყვავილსაფრის ფოთოლაკები—6, მტვრიანები—6 და დინგი).

საჰერბარიო ფურცელზე ქვედა ნაწილში, მარცხენა მხარეს, მოთავსებულია ეტიკეტი ზომით 13×8 სმ. ეტიკეტზე ზედა ნაწილში დაბეჭდილია: „Herbarium Musei Caucasic, Flora caucasica, ამ წარწერის შემდეგ ავტორის (ფომინი) ხელით დაწერილია: *Tulipa Schmidtii* sp. n. Fomin, T. Eichleri. Rgl. (ეს უკანასკნელი სახელწოდება ავტორის მიერ ხაზგასმულია), ამის შემდეგ დაბეჭდილია: „Сел. Эшакчи. Ленкоранск. у. Бакинск. г. 29.IV.1907 legit.: Kazn. Schelkovnikov. teste: A. Fomin“.

ეტიკეტზე მარჯვენა მხარეს ზედა ნაწილში აღნიშნულია კოლექციის ნომერი „26—07“, ხოლო მარცხენა მხარეს ჰერბარიუმის ნომერი „192“.

საჰერბარიუმ ნიმუში N—193.

ნაცრისფერ ქალაღზე ზომით 48×29 სმ, მოთავსებულია ორი მცენარე-პირველი მცენარე მარცხენა მხარეს, აღებულია უბოლქვოდ, 33 სანტიმეტრის სიმაღლისა (ყვავილით). ღეროზე მორიგეობით განლაგებულია ექვსი ფოთოლი. მათი ზომა 7—13 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს. ყვავილი ერთი, ზომით 6 სანტიმეტრი სიგრძე და 3,5 სანტიმეტრი სიგანე. ყვავილსაფრის ფოთოლაკები სრულად არის წარმოდგენილი ჰერბარიუმში.

მეორე მცენარე, რომელიც საჰერბარიო ფურცელზე მარჯვენა მხარეს არის მოთავსებული, ზომით 36 სანტიმეტრია. აღებულია უფესვოდ. ღეროზე ქვედა ნაწილში მორიგეობით განწყობილია ორი ფოთოლი. ერთი 28 სანტიმეტრის სიგრძის, მეორე ფოთოლი 7 სანტიმეტრი. ღერო ბოლოვდება ერთი ყვავილით, რომელიც ჰერბარიუმში სრულად არის დაცული.

საჰერბარიო ფურცელზე მარცხენა მხარეს ქვედა ნაწილში მოთავსებულია ერთი ეტიკეტი, რომელზედაც ზედა ნაწილში დაბეჭდილია: Herbarium Musei caucasici; Flora caucasica, მცენარის სახელწოდება: *Tulipa Schmidtii* sp. n. Fomin.-ავტორის ხელითა დაწერილი. ხოლო T. Eichleri Rg.—ხაზგადასმულია. ამ წარწერის შემდეგ დაბეჭდილია: Сел. Эшакчи. Ленкоранск. у. Бакинск. губ. Leg. Kazn. Schelkovnikov. teste. A. Fomin. 29.IV.1907. ეტიკეტზე აღნიშნულია კოლექციის ნომერი „26—07“ და ჰერბარიუმის ნომერი „193“.

შენიშვნა: სახეობა *Tulipa Schmidtii* Fom. დადგენილია ა. ფომინის მიერ 1907 წელს ა. კახნაკოვის და შელკოვნიკოვის მიერ შეგროვილი მასალების მიხედვით ლენკორანიდან „р. Eschachtschi“ და გამოქვეყნებულია 1909 წელს [16].

საჰერბარიო მასალების შედარებამ ლიტერატურული წყაროების მონაცემებთან ცხადყო, რომ ზემოაღწერილი აუტენტეკის N—192—193—ეტიკეტის შინაარსი და მცენარის მორფოლოგიური ნიშან-თვისებები საცხებით ემთხვევა ავტორის მიერ მოცემულ დედან დიაგნოზის მონაცემებს, რაც საფუძველს გვაძლევს თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ეგზემპლარი მივიღოთ, როგორც სახეობა T. Schmidtii-ის ტიპი. ამ სახეობის ტიპის არსებობა ლენინგრადში, საკავშირო მეცნიერებათა აკად. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში, არა სწორადაა მითითებული [14].

სახეობა *Tulipa Schmidtii* Fom. იზრდება ნათესებში. გვხვდება აზერბაიჯანის სსრ.

В. И. ПАПОВА

АУТЕНТИКІ ФЛОРЫ КАВКАЗА СЕМЕЙСТВА ЛИЛЕЙНЫХ

Резюме

Данная работа является частью труда, начатого в предыдущие годы по изучению аутентиков флоры Кавказа [10].

Целью нашей работы было установление аутентиков этого семейства, хранящиеся в фондах Государственного Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа в Тбилиси.

В гербарии Государственного Музея Грузии, семейство лилейных флоры Кавказа представлена более или менее полно. Кроме аутентиков в гербарии хранятся также редкие, эндемичные виды из сем. лилейных, равно как виды с *классических местобитани.



В результате обработки литературы и гербарного материала, хранящихся в Тбилиси в Государственном Музее Грузии, в институте Ботаники и в Ленинграде в Ботаническом институте им. акад. Комарова, нами установлено, что в гербарии Государственного Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, хранятся 7 аутентиков относящихся к семейству лилейных.

(1—тип, 5—изотипов и 1—котип).

В этой заметке впервые приводятся латинские диагнозы следующих видов *Allium gunibicum* Misch. *Muscari atropatanum* A. Grossh., *Scilla caucasica* Misch. по цитированной литературе.

Ниже приводим список аутентиков (описание аутентиков даны на грузинском языке):


1. *Allium gunibicum* Misch. Изотип. герб. лист N—116.
2. *Muscari atropatanum* A. Grossh. Изотип герб. лист N—165.
3. *Nectaroscordum tripetale* (Tr.) A. Grossh. Изотип герб. лист N—7766.
4. *Ruscus hyrcanus* G. Wor. Котип герб. лист N—174.
5. *Scilla armena* A. Grossh. Изотип герб. лист N—175 (exec. 334).
6. *Scilla caucasica* Misch. Тип герб. лист N—7880.
7. *Tulipa Schmidtii* Fomin. Тип герб. лист N—192, 193.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА


1. საქართველოს ფლორა. ლეიქი შრომანსებრი, ტ. II, თბილისი, 1941.
2. Ю. Н. Воронов: Новый *Ruscus* из Ленкоранского уезда и Севери-Персии. Вестник, Тифл. Бот. Сада, вып. 7, Тбилиси, 1907.
3. А. А. Гроссгейм. Пролески Кавказа. Вестник Тифл. Бот. Сада 3—4. Тифлис: 1926—27.
4. А. А. Гроссгейм. Сем. Лилейных (*Liliaceae*). флора Кавказа, т. I, Тифлис, 1928.
5. А. А. Гроссгейм. Новые Кавказской флоры. Труды Азербайджанского отделения Закавказ. филиала Академии наук СССР. т. I, Баку, 1933.
6. А. А. Гроссгейм. Сем. Лилейных (*Liliaceae*). флора Кавказа т. II, Баку, 1940.
7. А. А. Гроссгейм. Сем. Лилейных (*Liliaceae*). Определитель растений Кавказа, Москва, 1949.
8. П. И. Мищенко. Дикие виды *Tulipa* и *Scilla*. Кавказа, Крима и Средней Азии, как материал для культуры. Труды Бюро по Прикл. Бот. т. V, Ленинград, 1912.
9. П. И. Мищенко. Сем. Лилейных (*Liliaceae*). Материалы для флоры Кавказа II—41 Юрьев, 1912.
10. В. И. Панава. Аутентики флоры Кавказа семейства сложноцветных. Вестник Государственного Музея Грузии XV-A. Тбилиси, 1952.
11. Я. И. Проханов. Новое в международных правилах Ботанической номенклатуры изменения и дополнения, принятые VII международным Ботаническим конгрессом в Стокгольме в 1950 г. Ботанический журнал т. XXXVII 2, Москва, 1952. Ленинград
12. Г. И. Радде. Коллекции Кавказского Музея, т. II, Тифлис, 1901.
13. Флора Азербайджана, т. II, Баку, 1952.
14. Флора СССР сем. Лилейные. (*Liliaceae*) т. IV, Москва—Ленинград, 1935.
15. Флора Тифлиса сем. Лилейные, ч. I, Тбилиси, 1925.
16. А. Сомин. Несколько новых видов растений из Закавказья. Вестник Тифлис. Ботан. Сада, в. 14. Тифлис, 1909.
17. E. Boissier, Flora Orientalis, V. Genevae et Basilien, 1884.
18. C. Ledebour. Flora Rossica, IV, Stuttgart, 1853.
19. Marschall a Bieberstein F. A. Flora taurico-caucasica I (1808), Charkovia.
20. Trautvetter E. Stripium novarum descriptiones auctore E. R. Acta Horti Petrop. II, С.-Петербург, 1873.



1. *Allium gunibicum* Misch.




2. *Muscari atropatanum* A. Grossh.




3. *Nectaroscordum tripedale* (Trautv.) A. Grossh.

4. *Ruscus hyrcanus* G. Wor.



6. *Scilla caucasica* Misch.



მ. ფოფხაძე

დალისტინის ზოგბირთი ცარცული მხართფხიანი

ზრომისათვის — დალისტინის ზოგიერთი ცარცული მხართფხიანი — მასალად გამოყენებულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული კოლექციები დალისტინიდან. ერთი კოლექცია (№ 0,51) ეკუთვნის ჰ. აბიხს. მას 1889 წელს გამოქვეყნებულ კატალოგში [6] სხვა ჯგუფების ცარცულ ნამარხებთან ერთად მოცემული აქვს ნეოკომურ მხართფხიანთა სახეობების დასახელება და ზოგიერთი მოკლე ცნობა მათი გეოლოგიური გავრცელების ანდა ცნობები მათი ნათესაური კავშირისა ამა თუ იმ ფორმასთან. მაგრამ კატალოგში ამ სახეობათა თუნდაც მოკლე დიაგნოზი ან დასურათება მოცემული არ არის. კატალოგში აღნუსხულია სულ 10 სახეობა სხვადასხვა ადგილებიდან. მეორე კოლექცია დალისტინიდან (№ 43) ეკუთვნის ვ. ბოგაჩევს. ამ კოლექციაში მხართფხიანების მხოლოდ ნაწილი იყო განსაზღვრული სახეობებამდე, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი კოლექციიდან თითქმის არცერთ ნიმუშს არ ახლავს ცნობა ასაკის შესახებ.

დასახელებული ორივე კოლექციიდან მხართფხიანები ჩემ მიერ განსაზღვრულია, ზოგჯერ ხელახლა, ზოგჯერ პირველად ანდა შემოწმებულია ძველი განსაზღვრები. იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი განსაზღვრა სწორია, ეს გარემოება სათანადო ადგილას მითითებულია აღწერებში და აკრეფე ცხრილებში. ზრომაში წარმოდგენილია 24 სახეობის აღწერა 5 გვარიდან. სახეობათა უმეტესობა დასურათებულია.

დალისტინის ცარცულ ნალექებში, როგორც ჩანს, მხართფხიანები უბრალოდ ყოფილა გავრცელებული, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მასალაში, რომელიც შეკრებილია მხოლოდ ორი-სამი ქრისტის მიხედვით და ისიც ცარცული ფაუნის საერთო კომპლექსში და არა სპეციალურად მხართფხიანთათვის, ამდენი სახეობა მოიპოვება.

უხერხულობას იწვევს ის გარემოება, რომ არსებული მასალის საფუძველზე ძნელია დალისტინის ცარცულ მხართფხიანთა დაკავშირება სხვა ქვეყნების და კერძოდ საქართველოს შესატყვისი ნალექების ფაუნასთან, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მასალას მეტწილად არ ახლავს ცნობა სტრატეგრაფიული მდებარეობის შესახებ და გარდა ამისა ზოგიერთი ძველი ცნობა შემოწმებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით საჭირო არის დამატებითი მასალის დაგროვება და ძველი მასალის სტრატეგრაფიული მდებარეობის ადგილზე შემოწმება.

შესწავლილი მასალა შეიცავს როგორც ქვედა, ისე ზედა ცარცულ ფორმებს (იხილე ცხრილი). სიის უბრალო გადახედვითაც თვალსაჩინოა დალისტინის ცარცული მხართფხიანების ნათესაობა შემადგენლობის მიხედვით საქართვე-



ლოს მხართფეხიანებთან, ყველა ფორმა ამ სიიდან, გარდა *Magasa Sehlenb.*-ისა, ცნობილია საქართველოს ცარცულშიც [1,2]. მხოლოდ ამ მასალაში არ მოიპოვება საქართველოს ცარცულისათვის დადასტურებული ადგილობრივი ხასიათის მხართფეხიანები.

ამრიგად, ეს ნაწრომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმში დაცულ დალისტნის ცარცულ მხართფეხიანთა მხოლოდ აღწერას, დასურათებას და ნუსხას, ე. ი. მასალას ცარცული ფაუნის ამ ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ჯგუფის შესწავლისათვის.

პალეონტოლოგიური აღწერა

ოჯახი RHYNCHONELLIDAE Gray, 1848

გვარი *Rhynchonella* Fischer 1809

Rhynchonella valangiensis de Lor.

ტაბ. I. სურ. 1, 1a-b.

1847. *Rhynchonella Agassizi* d'Orbigny (15) გვ. 17, ტაბ. 494, სურ. 1—4

1913. *Rhynchonella valangiensis* Jac. et Fall. (10) გვ. 51, ტაბ. VII, სურ. 1—4


1949. „ „ მ. ფოფხაძე (2) გვ. 3.

ზომები:

სიგრძე . . .	14 მმ . . .	12 მმ . . .	9 მმ
სიგანე . . .	17 „ . . .	14 „ . . .	9 „
სისქე . . .	7 „ . . .	6 „ . . .	2,5 „

აღწერა. ნივთარა სამკუთხოვანია, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი, ზოგჯერ თანაბარი სიგრძე-სიგანის. ზურგის საგდული უფრო გამოზურცულია, ქედიანი, მუცლის საგდული ჯერ ბრტყელი და შემდეგ შუა ნაწილიდან ღრმა სინუსიანი. სინუსში 6—8 წიბოა. წიბოთა რიცხვი საგდულზე 25—28 უდრის. წიბოები თხემიდან შუბლის კიდისაკენ თანდათან მსხვილდება. გვერდის კომისური სწორია, კბილულიანი, ოდნავ გახრილი მუცლის საგდულისაკენ და ბლავი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისაკენ. შუბლის კიდის კომისური ლათინური ასო U-სებრი, დაკბილული და ასიმეტრიული; ასიმეტრიულობა სხვადასხვა ნიმუშებში მეტ-ნაკლებადაა გამოსახული, რაც ნაწილობრივ დეფორმაციის შედეგია. სინუსის სიღრმის გამო ნიმუში თითქოსდა ფრთებაწეულია. თხემი აპართულია, არა მაღალი, ოდნავ წვეტიანი, კარგად შემოფარგლული კიდეებით, არის უფრო წვეტიანი ნიმუშებიც. ფორამენი ძლიერ პატარაა და მრგვალი, უმეტესად უჩინარი.

მიმოხილვა. აღწერილი ნიმუშები კოლექციაში განსაზღვრული იყო როგორც: 1. *Rhynchonella multiformis* Roem., 2. *Rh. valangiensis* de Loriol და 3. *Rh. parvirostris* Sow. გულდასმითმა დაკვირვებამ და შესწავლამ მიიყვანა დასკვნამდე, რომ ეს ფორმები ერთ სახეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ყველა ნიმუში ერთი ადგილიდანაა. აღნიშნული სახეებისადმი ეს ფორმები მართლაც ამქავენებს მსგავსებას, მაგრამ განსხვავებაც თვალსაჩინოა: *Rh. parvirostris* Sow. (6. ტაბ. XII, სურ. 13—14) და (11 ტაბ. VIII, სურ. 29—30), უფრო დიდი და მსხვილი ფორმებია და მათ დიდი ფორამენი ახასია-



თებთ; *Rh. multififormis* Roem. var. *castellanensis* Jac. et. Fall. (11. ტაბ. I სურ. 11—19) განსხვავდება ნაკლები ზომებით, უფრო წვრილი წიბოებით და ნაკლებ გაშლილი „ფრთებით“, რითაც უფრო უახლოვდება *Rh. valangiensis* de Lor.-ს რომლისგანაც განსხვავდება შუბლის კიდის უფრო სიმეტრიული მოხაზულობით, წიბოთა მეტი დამრგვალებით, ზრდის ხაზთა არა სიმკვეთრით. მაგრამ თხემის მოყვანილობა, ზურგის საგდულის გამობურცვა, გვერდის-კომისური, ფრთები და პატარა ფორამენი საშუალებას იძლევა ეს ფორმები მიეკუთვნოს *Rh. valangiensis* de Lor.-ს, ხოლო განსხვავებანი სახის ფარგლებში არსებულ ცვალებად ნიშნებად უნდა ჩაითვალოს, ამის დადასტურებას იძლევა ეაკობისა და ფალოს მიერ მოცემული დასურათებაც.

ხადაურობა. დალისტანი. სეიდვენტსა და კასუმენს შორის.

გეოლ. გავრცელება. საფრანგეთის ვალანჯინური კირქვები, საქართველოს ვალანჯინური (?) კირქვები.

რიცხვი. 97 (№№ 43—16; 43—17; 43—265).

Rhynchonella multififormis Roem. var. cf. *ardescica* Jac. et Fall.

ტაბ. I სურ. 5, 5a.

1913. *Rhynchonella multififormis* Roem. var. *ardescica* Jac. et Fall. (11. გვ. 55, ტაბ. 8, სურ. 1—5).

1949. „ „ ფოფხაძე [2] გვ. 6.

ზომები:

სიგრძე . . . 19 მმ სიგანე . . . 21 მმ სისქე . . . 15 მმ

აღწერა. ნიმუშს ნიჟარა არა აქვს შერჩენილი. ნიმუში ხუთკუთხოვანია, თითქმის წრიული, უფრო განიერი, ვიდრე გრძელი. თითოეულ საგდულზე 25 წიბოა. საგდულები თითქმის თანაბარი გამობურცულობისაა. მუცლის საგდული სუსტ სინუსიანია, ზურგის-ქედიანი. სინუსში 5 წიბოა, ქედზე—6. თხემთან წიბოები წვრილია, შუბლის კიდესთან საკმაოდ მსხვილი. წიბოები და წიბოთშორისი ღარები მკვეთრია და თანაზომიერი. წიბოები საკმაოდ მახვილია. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ გახეიქილი მუცლის საგდულისაკენ და ბოლოს სწორი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისაკენ. შუბლის კომისური ლათინური ასო U-სებრი. ზრდის ხაზები არა ჩანს. შუალა წიბოები უფრო მსხვილია, ვიდრე გვერდის. მუცლის საგდულის თხემი დაზიანებულია, ზურგის საგდულის თხემი კარგად ჩანს. შეიძლება დასკვნა, რომ თხემი საშუალო ზომის ჰქონია. თხემის გვერდითი ქედები მომრგვალებულია.

მიმოხილვა. მომრგვალებულ-ხუთკუთხოვანი ფორმით, შედარებით გამობურცული ზურგის საგდულით, მახვილი წიბოებით, წიბოების და წიბოთა შორისი ღარების თანაბარი ზომით, წიბოთა შესატყვისი რიცხვით საგდულზე, სინუსში და ქედზე, კომისურთა მოხაზულობით აღწერილი ნიმუში ჰგავს *Rh. multififormis* Roem. var. *ardescica* Jac. Fall.-ს მაგრამ ვინაიდან ნიმუში დაზიანებულია, ამიტომ მას მიაზლოებით იაკუთვნებ ამ სახეს. კოლექციაში ეს ნიმუში განსაზღვრული ყოფილა ძველად, როგორც *Rh. lata* d'Orb., რომელთანაც მხოლოდ შორეული მსგავსება აქვს, როგორც იმავე ჯგუფის წარმომადგენელს.

ხადაურობა. დალისტანი. გავრცელება. საფრანგეთის ზედა პოტრივული კირქვები; საქართველოს აპტური კირქვები. რიცხვი. 1 (№ 43—15).



Rhynchonella multiformis Roem. var. cf. *subardescica* Popch. გიგლიძე

ტაბ. I. სურ. 3, 3 a-b.

1949. *Rhynchonella multiformis* Roem. var. cf. *subardescica* Popch. [2]
 გვ. 8, ტაბ. 2, სურ. 3.

ზომები:

სიგრძე . . . 17 მმ სიგანე . . . 20 მმ სისქე . . . 17 მმ

ნიმუში ნაკლულია, მაგრამ შერჩენილი ნაწილები კარგადაა დაცული და შესაძლოა მისი მიახლოებითი განსაზღვრა.

აღწერა. ნიჟარა თითქმის მრგვალია, რადგან ძლიერი გამობურცულობის გამო აღარა ჩანს მისი ხუთკუთხოვანი მოხაზულობა. ნიმუში, ალბათ, უფრო ფართო იყო, ვიდრე გრძელი. მუცლის საგდული სინუსიანია, სინუსი არაა ღრმა, შიგ 4 წიბოა, ზურგის საგდულის ქედზე 5 წიბოა. საგდულებზე წიბოთა რიცხვი 16—16. გვერდებთან წიბოები წვრილია, შუა ნაწილში კი, საკმაოდ მკვეთრი, მსხვილი და მახვილი. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ გაზნექილი მუცლის საგდულისკენ და ბოლოს ბლაგვი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისაკენ. შუბლის კომისური ლათინური ასო U-სებრი, ფართო. თხემი არა აქვს.

მიმოხილვა. ეს ნაკლიანი ნიმუში წიბოთა რიცხვით, ზომებით, ნიჟარის და ცალკეულ საგდულთა მოყვანილობით ძლიერ ჰგავს *Rh. multiformis* Roem. var. *subardescica* Popch.-ს, განსხვავდება მისგან გვერდის და შუალა წიბოებს შორის ხარვეზის უქონლობით და უფრო წვრილი წიბოებით. რაც ამავე სახესხვაობის ფარგლებში არსებულ განსხვავებად უნდა ჩაითვალოს. კოლექციაში ნიმუში განსაზღვრული იყო როგორც *Rh. lata* d'Orb. რომელთანაც მას შორეული მსგავსებაც არა აქვს.

სადაურობა. დაღისტანი. გავრცელება. საქართველოს აბტური კირქვები. რიცხვი 1 (№ 43—15).

Rhynchonella multiformis Roem. var. aff. *castellanensis* Jac. et Fall.

ტაბ. I. სურ. 6.

კოლექციაში ორი ნიმუშია, ერთი მათგანი ქანშია ჩაკეებული; ორივე კარგი დაცულობისაა.

ზომები:

სიგრძე 22 მმ 20 მმ
 სიგანე 30 „ 30 „
 სისქე (ქანშია) 17 „

აღწერა. ნიმუშებს ადგილ-ადგილ შერჩენილი აქვს ნიჟარა. ზურგის საგდულიდან ნიმუში სამკუთხოვანი მოყვანილობისაა, მუცლის საგდულიდან-ხუთკუთხოვანი. უდიდესი სიფართო ნიმუშს შუა ნაწილში და თხემის მახლობლად აქვს, რის გამო ნიჟარას ფრთხილად გაშლილი გვერდები აქვს. აქა-იქ მკრთალად ჩანს ზრდის ხაზები. თითოეულ საგდულზე 40 წიბოა; მუცლის საგდულის ღრმა სინუსში 12—13 წიბო დაითვლება. ზურგის საგდული ქედისაა. მიუხედავად გადარეცხვისა, წიბოები მკვეთრია და შუბლის კიდის მახლობლად

ისინი მახვილიც კი არიან. თხემი მკვეთრია, უფრო ამართული, ვიდრე მკვეთრი. მოლუნული, არაწვეტიანი. ფორამენი საშუალო ზომის, სიგრძივ ოვალური. თხემის გვერდითი ქედები მკვეთრია, მაგრამ მომრგვალებული. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ გაზნეტილა მუცლის საგდულისაკენ, მომრგვალებული და თანდათანობით გადასული შუბლის კომისურში, რომელიც ლათინური ასო U-სებრია, მაგრამ ფართო.

მიმოხილვა. ძველი განსაზღვრა ნიმუშებისა იყო: *Rh. multiformis* Roem. დიდი ზომები, წიბოთა მრავალრიცხოვნება, მათი სიმკვეთრე, მკაფიოდ გამოსახული თხემი და მისი ქედები ადასტურებენ, რომ აღწერილი ნიმუშები ეკუთვნის *Rh. corallina* Leym.-ის ჯგუფს, ხოლო სხვა ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, როგორცაა მეტი სისქე შუა ნაწილში და თხემის მიდამოებში, ფრთხილად ვაშლილი გვერდები, მუცლის საგდულის ღრმა სინუსი და ნიჟარისა და თხემის საერთო მოყვანილობა ეს ნიმუში *Rh. multiformis* Roem, var. *castellanensis* Jac. et Fall.-ს ჰგავს (11. გვ. 54, ტაბ. VII, სურ. 15—19), განსხვავდება მისგან უფრო წვრილი და მრავალრიცხოვანი წიბოებით. აღწერილი ნიმუშებს თითოეულ საგდულზე 40 წვრილი წიბო აქვს წინააღმდეგ 30 საკმაოდ მსხვილი წიბოსი. აღსანიშნავია, რომ ჟაკობი და ფალო მხოლოდ წიბოთა რიცხვით ასხვავებენ *Rh. multiformis* Roem. var. *castellanensis* Jac. et Fall.-ს *Rh. parvirostris* Sow.-საგან, რომელსაც, აგრეთვე, 40—40 წიბო აქვს საგდულელებზე.

Rh. parvirostris Sow.-სადმიც დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აღწერილი ნიმუშები, სახელდობრ წიბოთა რიცხვით და ხასიათით, მაგრამ ზურგის საგდულის სისქით, ნიმუშის საერთო მოხაზულობითა და ფრთხილობით დალისტნური ფორმები მეტ მსგავსებას იჩენს *Rh. multiformis* Roem. var. *castellanensis*-ისადმი. ამიტომ მიუხედავად განსხვავებისა წიბოთა რიცხვში, მე აღწერილი ნიმუშებს პირობითად ამ სახესხვაობას ვუკავშირებ და შესაძლებლად მიმაჩნია წიბოთა გაწვრილების ხარჯზე გაზრდილიყო მათი რიცხვი. მასალის სიმცირე სხვა დასკვნათა გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

სადაურობა. დალისტანი. გავრცელება. *Rh. multiformis* Roem. var. *castellanensis* Jac. et fall. ცნობილია საფრანგეთის ჰოტრიველ კირქვებში და საქართველოს ქვედა ცარცულში. რიცხვი. 2 (43—444).

Rhynchonella multiformis Roem. var. *contractoides* Jac. et Fall.

1913. *Rhynchonella multiformis* Roem var. *contractoides* Jac. et Fall. (10) გვ. 53. ტაბ. VII, სურ. 10.

ზომები:

სიგრძე . . . 25 მმ სიგანე . . . 25 მმ სისქე . . . 11 მმ

აღწერა. ნიმუშს აქა-იქ შერჩენილი აქვს ნიჟარის ნაწილები. ნიმუში ზურგის საგდულიდან მომრგვალებულ-სამკუთხოვანია, მუცლის საგდულიდან—ხუთკუთხოვანი. მუცლის საგდული სინუსიანია, სინუსი საკმაოდ გრძელი და ფართოა, სინუსში ექვსი საკმაოდ მსხვილი და მკვეთრი წიბოა, თითოეულ საგდულზე 23 წიბოა. წიბოები თხემზე წვრილია, შემდეგ მსხვილდება თანდათან და შუბლის კიდეზე ისინი საკმაოდ მსხვილნი არიან. სინუსში წიბოები უფრო მსხვილია, ვიდრე ფრთხილად აწეულ გვერდებზე. გვერდის კომისური

სწორია, მუცლის საგდულისკენ გაზნეკილი და ბლაგვი კუთხით სწორად დაშვებული შუბლის კიდისაკენ. სინუსი ძლიერ წაგრძელებულია; შუბლის კომისური ლათინურ U-სებრი. ზურგის საგდულის ქედზე 7 წიბოა, მათ შორის შუა წიბო უფრო მსხვილია. სინუსი ძლიერ ღრმაა. თხემი ამართულია, მახვილი და მკაფიო, გადაღუნულია მხოლოდ მისი წვეტი. თხემის გვერდითი ქედები მკაფიოდ გამოსახულია და მომრგვალებული, ქედებზე წიბოები არა ჩანს, ფორამენი პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. ნიმუშის ძველი განსაზღვრა სახეობამდე არ ყოფილა დაყვანილი, ეტიკეტზე ეწერა მხოლოდ *Rhynchonella*.

აღწერილი ნიმუში შორეულ მსგავსებას ამჟღავნებს *Rh. malbosii* Pict.-mut. *contractoides* Jac. et Fall.-ისადმი ნიჟარის მოყვანილობით და საერთო იერით, მაგრამ ძირითადად განსხვავდება მისგან თხემის მოყვანილობითა და მოკაზმულობით. ძლიერ ჰგავს *Rh. multiformis* Roem. var. *contractoides* Jac. et Fall.-ს, მოყვანილობით, ამართული თხემით, სწორი გვერდის კომისურით, U-სებრი შუბლის კომისურით, ღრმა სწრუსით, წიბოთა საერთო რიცხვით, მათი განლაგებითა და რიცხვით სინუსში და ქედზე, წიბოთა სისქით და სიმკვეთრით და სხვა. განსხვავდება თითქოსდა ნაკლები სიგრძით ნიმუშისა, აღწერილი ნიმუში თანაბარი სიგრძე-სიგანისაა და თხემიც ოდნავ უფრო მაღალი უჩანს, რაც ალბათ სახისავე ფარგლებში არსებულ ცვალებად ნიშნებს მიეკუთვნება.

სადაურობა. დაღისტანი. **გავრცელება.** საფრანგეთის ზედა ჰოტრივეული. რიცხვი. 1 (№ 43—458).

Rhynchonella cf. *lata* d'Orb.

1847. *Rhynchonella lata* d'Orbigny (15) გვ. 21, ტაბ. 491, სურ. 8—17.
 1945. " " ნუცუბიძე [1] გვ. 161—162.
 1949. " " ფოფხაძე [2] გვ. 17—18.

კოლექციაში არსებული რამდენიმე ნიმუში განსაზღვრული იყო, როგორც *Rh. lata* d'Orb., აქედან სათანადო შემოწმების შემდეგ 4 ნიმუში *Rh. lata* d'Orb. var. *minor* Jac. et Fall. აღმოჩნდა, ხოლო ერთი დაზიანებული და თანაც ნაკლიანი ნიმუში, თვისი ნისკარტისებური, გრძელი, მოღუნული თხემით, მუცლის საგდულის თხემსა და საკეტის კიდის შორის არსებული გლუვი და ღრმა ჩაღრმავებით, თხემიდანვე მომაკალი მკვეთრი, საკმაოდ მახვილი წიბოებით, თხემის გვერდითი მკვეთრი ქედებით ძლიერ ჰგავს *Rh. lata* d'Orb.-ს. ნიმუშის ნაკლიანობისა და დაზიანების გამო განსაზღვრა პირობითია.

ამავე კოლექციაშივე არის კვლავ ნაკლიანი, უთხემო ნიმუში რომელსაც ეტიკეტზე მხოლოდ *Rhynchonella* ეწერა. ეს ნიმუში ჰგავს *Rh. lata* d'Orb.-ს წიბოების რიცხვით (35) და მოყვანილობით, სინუსში არსებული 8 წიბოთი, კომისურებით და სხვა. აქვეა, აგრეთვე, შუბლის კიდის ნატეხი სინუსში 6—7 მახვილი წიბოთი მსგავსად *Rh. lata* d'Orb.-სა.

სადაურობა. დაღისტანი. **გავრცელება.** საფრანგეთის ურგონული კირქვები; ყირიშის აპტური ქვიშიანი კირქვები, საქართველოს ბარემული და აპტური კირქვები.

რიცხვი 3 (№№ 43—436; 43—458).

Rhynchonella aff. *lata* d'Orb.

ტაბ. I. სურ. 2, 2a.

ზომები:

სიგრძე	20 მმ	18 მმ
სიგანე	18 „	17 „
სისქე	14 „	10 „

აღწერა. ნიმუშს აქა-იქ შერჩენილი აქვს ნიჟარის ნაწილები; ნიმუში ზურგის საგდულიდან მომრგვალებულ-ხუთკუთხოვანია, მუცლის საგდულიდან მომრგვალებულ-ხუთკუთხოვანია, ერთი მათგანი წაგრძელებულია. ზურგის საგდული უფრო გამოზურკულია, ვიდრე მუცლის. თითოეულ საგდულზე 25 მკვეთრი წიბოა. წიბოები თხემიდანვე იწყება, სადაც მხოლოდ ლუბით შეიმჩნევა, შემდეგ კი ისინი თანდათან მსხვილდებიან. ზურგის საგდულს ქედისებრი ამალღება აქვს, ხოლო მუცლისას სუსტი სინუსი, რომელშიც (შუბლის კიდის მახლობლად) 5—6 წიბოა. გვერდის კომისური ჯერ სწორია, შემდეგ გახრილი მუცლის საგდულისაკენ და ბოლოს ბლაგვი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისაკენ. შუბლის კიდის კომისური U-სებრია. თხემი ამართულია, საკმაოდ წვეტიანი, მკვეთრად შემოფარგლული ქედებით. ფორამენი მხოლოდ ერთ ნიმუშზე ჩანს, იგი პატარაა და მრგვალი.

მიმოხილვა. ნიმუში კოლექციაში განსაზღვრული იყო, როგორც *Rh. lata* d'Orb. აღწერილი ნიმუშები ჰგავს კარაკაშის მიერ (3. გვ. 211, ტაბ. XXI, სურ. 17 და 18) დასურათებულ *Rh. lata* d'Orb.-ს. ნიჟარის საერთო მოხაზულობით, მაღალი და საშუალო წვეტიანობის თხემით, თხემსა და საკეტის ხაზს შორის არსებული გლუვი ჩაღრმავებით, პატარა და მრგვალი ფორამენით და სხვა, მაგრამ მისდამი მიკუთვნება შეუძლებელია, ვინაიდან, ცნობილია, რომ ამ სახეს ახასიათებს 30—35 წიბო და დევიდსონის ნიმუშებს (6. გვ. 82, ტაბ. XI, სურ. 6—22, ტაბ. XII, სურ. 24) 45—50 წიბოც კი დაეთვლება, აღწერილი ნიმუშს კი მხოლოდ 24—25 წიბო შოებოვება, სინუსშიც ნაცვლად 7—8 წიბოსი, 5—6 წიბოა, რითაც უფრო *Rh. multiformis*-ის სახესხვაობებს ჩამოგავს, მაგრამ განსხვავდება მათგან უფრო ინდივიდუალიზებული, მკვეთრი თხემით, მკვეთრი წიბოებით და სხვა... დევიდსონის *Rh. latissima*-სადმი კიდევ უფრო ნაკლებ მსგავსებას იჩენს მოკაზმულობის, საერთო მოყვანილობის და მაღალი თხემის მხრივ. იგი მსგავსია აგრეთვე დ'ორბინის ფორმების (15. გვ. 21, ტაბ. 491, სურ. 8—17), მაგრამ განსხვავდება, უფრო სუსტი სინუსით და ქედით, წიბოთა რიცხვით და განლაგებით.

შესაძლებელია ეს ნიმუში ახალი სახესხვაობა იყოს, მაგრამ მასალის სიმცირე ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა.

სადაურობა. დადისტანი.

რიცხვი. 3 (№ 43—19).

Rhynchonella lata d'Orb. var. *minor* Jac. et Fall.

ტაბ. I. სურ. 4, 4a-b.

1919. *Rhynchonella lata* d'Orb. var. *minor* Jac. et Fall. (15) გვ. 57, ტაბ.

VIII, სურ. 18—21.

1949.

" " "

ფოფხაძე [2] გვ. 18—19.

ზომები:

სიგრძე . . .	14 მმ . . .	12 მმ
სიგანე . . .	16 „ . . .	14 „
სისქე . . .	ქანშია . . .	8 „

კოლექტივაში ნიმუშები განსაზღვრული იყო როგორც *Rh. lata* d'Orb.

აღწერა. პატარა ნიმუშებია—ზურგის საგდულიდან სამკუთხოვანი, მუცლის საგდულიდან—ხუთკუთხოვანი. ზურგის საგდული ბრტყელია, მუცლის გამობურცული წიბოები თხემიდანეე იწყება, მათი რიცხვი თითოეულ საგდულზე 25—30; წიბოები წვრილია, მაგრამ მკვეთრი. გვერდები ოდნავ გაწეულია ფრთებივით. სინუსში 7—8 წიბოა. გვერდის კომისური სწორია, შუბლის კიდის ლათინური U-სებრი, ოდნავ ასიმეტრიული. თხემი ამართულია, არა მაღალი. ფორამენი არა ჩანს.

მიმოხილვა. აღწერილი ნიმუში ზემოჩამოთვლილ ყველა ნიშან-თვისებით ესატყვისება *Rh. lata* d'Orb. var. *minor* Jac. et Fall.-ს.

სადაურობა. დაღისტანი. გავრცელება. საფრანგეთისა და საქართველოს ურგონული კირქვები. ჩიცხვი. 4 (№ 43—6).

Rhynchonella depressa Sow.

ტაბ. II. სურ. 1—4 a-b.

1913. <i>Rhynchonella depressa</i> Jac. et Fall. (11) გვ. 59, ტაბ. VIII, სურ. 30.
1945. „ „ ნუტუბიძე [1] გვ. 156—157.
1949. „ „ ფოფხაძე [2] გვ. 20.

ზომები:

სიგრძე . . .	25 მმ	20 მმ	16 მმ	12 მმ
სიგანე . . .	23 „	21 „	17 „	12,5 „
სისქე . . .	13 „	13 „	10 „	9 „

აღწერა. ნიმუშები სამკუთხედი ფორმისაა, ბრტყელი და ასიმეტრიული. უმეტესად უფრო ფართო, ვიდრე გრძელი. თითოეულ საგდულზე 25—33 მკვეთრი წიბოა, შუა წიბოები უფრო მსხვილია, შუბლის კიდისაკენ წიბოები გამსხვილებულია. მუცლის საგდული სინუსიანია, 5—9 წიბოთი; ზურგის საგდული ქედიანია. წიბოები თხემზე წვრილია, ზოგჯერ იგი გლუვია. გვერდის კომისური სწორია, შემდეგ გაზრდილია მუცლის საგდულისკენ და სწორი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისაკენ. შუბლის კიდის კომისური ტალღებრივი, ფართო U-სებრი. შუბლის კიდესთან შეიმჩნევა წიბოთა დატოტვა. თხემი მოკლეა, სუსტად გადმოღუნული. ფორამენი მრგვალია, ზოგჯერ ოვალური ჩანს გამოფიტვის გამო. ერთ ნიმუშზე ჩანს ორნაწილოვანი დელტიდიუმი.

მიმოხილვა. აღწერილი ნიმუშები ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშან-თვისებით ჰგვიანან *Rh. depressa* Sow.-ს. ღ'ორბინის ფორმებისაგან (15. გვ. 18, ტაბ. 491, სურ. 1—7) განსხვავდება მხოლოდ ზრდის ხაზთა ბუნდოვანებით, რაც ცუდი დაცულობის შედეგი უნდა იყოს. დევიდსონის ფორმებიდან ჰგავს (7. გვ. 89, ტაბ. XII, სურ. 30) ერთს, რომელიც var. A-ს სახელით არის აღწერილი და ზრდის ხაზებიც კარგად აქვს გამოსახული. როგორც ცნობილია *Rh. compressa*-საგან ეს სახე განსხვავდება მოყვანილობით და გვერდებისაკენ.

გაფართოებით, *Rh. lata*-ს უფრო მაღალი და წვეტიანი თხემი აქვს, ხოლო *Rh. nuciformis* უფრო შევიწროებულია და მუცლის საგდული უფრო გამოზარტული აქვს.

ნიმუშები ჰ. აბიხის კოლექციიდან არის და განსაზღვრავს სწორი ჰქონდა, გარდა ერთი ნიმუშისა (№ 051—89).

სადაურთობა. დალისტანი. გუნები და შუნუდალი (ნეოკომური ჰ. აბიხის მიხედვით).

გავრცელება. საფრანგეთის ნეოკომური (დ'ორბინის მიხედვით). ინგლისში და საქართველოში აბტურში და სენრამანურში.

რიცხვი. 13 (№№ 051—85; 051—86; 051—87; 051—88).

Rhynchonella lineolata Dav.

1913. *Rhynchonella lineolata* Jac. et Fall. (11) გვ. 17, ტაბ. 1, სურ. 9—14.

1945. " " ნუტუბიძე [1] გვ. 147—148.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე . . . 13 მმ სიგანე . . . 12 მმ სისქე . . . 10 მმ

აღწერა. თითქმის წრიული ფორმა; საგდულები თითქმის თანაბარი გამოზარტულობისაა. მუცლის საგდული სუსტ სინუსიანია, ორი წიბოთი სინუსში, ხოლო მის აქეთ-იქეთ 6—6 მოკლე წიბოა პალეალურ მხარეზე, ნიმუში სხვა ნაწილებში გლუვია. გვერდის კომისური სწორია, შუბლის კიდის სუსტად ტალღებრივი. თხემი მოკლეა და გადაღუნული ზურგის საგდულისა-კენ. ფორამენი უჩინარია.

მიმოხილვა. კოლექციაში ეს ნიმუში განსაზღვრული იყო, როგორც *Rh. lata* d'Orb., რაც არაა მართებული, რადგან იგი სრულიად სხვა ჯგუფის ნიშან-თვისებათა მატარებელია, სახელდობრ აღწერაში მოცემული ნიშნების მიხედვით *Rh. lineolata* Phill.-ს უნდა ეკუთვნოდეს. განსაკუთრებით დიდ მსგავსებას იჩენს კარაკაშის ფორმებისადმი (3. გვ. 208, სურ. 1), განსხვავდება მისგან მხოლოდ ქველ-ხაზების უქონლობით, რაც ნიმუშის არადამაკმაყოფილებელი დატულობით უნდა აიხსნას. კარაკაში აღნიშნავს ამ სახისათვის ნაირ-მოყვანილობას და მოკაზმულობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით დედისონის (7. გვ. 98, ტაბ. XII, სურ. 6—10) ნიმუშებისაგან აღწერილი ფორმის განსხვავება სახის ფარგლებში არსებულ ცვალებადობას მიეწერება.

სადაურთობა. დალისტანი. გუნები (ნეოკომური ჰ. აბიხის მიხედვით).

გავრცელება. ინგლისის სპიტონის თიხები; ყირიმის ბარემული კირქვები და ქვიშიანი კირქვები; საქართველოს აბტურიდან, ოქსფორდული და ლუზიტანურიდან ქ. ნუტუბიძის მიხედვით.

რიცხვი. 1 (№ 051—89).

Rhynchonella sp.

ტაბ. II. სურ. 5.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე . . . 21 მმ სიგანე . . . 30 მმ სისქე . . . 22 მმ

აღწერა. ძლიერ განიერი, თანაბარი სიგრძე და სისქის ნიმუშია. ნიმუშს მოტეხილი აქვს მუცლის საგდულის თხემი, რაც განსაზღვრავს ძნელმბ, მაგ-

7. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—A



რამ იგი იმდენად განსხვავებულია, რომ აუცილებელია მისი აღწერა. მცხეთის რაიონის აგდელი ნაკლებ გამოზრტულია და შუბლის კიდესთან აქვს არა ღრმა, მაგრამ გრძელი სინუსი 6 წიბოთი. საგდულზე 16—20 წიბოა; წიბოები შუბლის კიდისაკენ მსხვილდება და ბასრი ხდება. ზურგის საგდული ძლიერ გამოზრტულია, მომრგვალებული სამკუთხედის მოყვანილობა აქვს. ზურგის საგდულის თხემი მომრგვალებულია; აქვს ხშირი და წვრილი წიბოები. გვერდის კომისური მომრგვალებულ-სწორია, გახრილი მცირე მანძილზე მუცლის საგდულისაკენ და გრძელი ხაზით დაშვებული შუბლის კიდისაკენ, შუბლის კომისური ფართო და გრძელი U-სებრია. უდიდესი სიფართო ნიშუსი შუა ნაწილში აქვს, რის გამო გვერდები ფრთებივითაა გასული განზე, რაც ნიშუსის დიდი სისქის გამო ცხადად არა ჩანს. შესამჩნევია შუბლის კიდის მოკვეთილობა.

მიმოხილვა. ნიშუსი კოლექციაში განსაზღვრული იყო, როგორც *Rh. plicatilis* var. *octoplicata* Sow., რისი გაზიარებაც ძნელია, ვინაიდან იგი განსხვავდება ამ სახესხვაობისაგან: ნაკლები სიგრძით (განსხვავება 20 მმ), და სისქით; ასევე მორთულობით, მაგალითად—*Rh. plicatilis*-ს წიბოთა და ზრდის ხაზთა გადაკვეთის გამო დაუჯრული სკულპტურა აქვს, ამ ნიშუსს კი ზრდის ხაზი არსად ემჩნევა, მიუხედავად დამაკმაყოფილებელი დაცულობისა.

აღწერილი ნიშუსი *Rh. polygona* d'Orb.-ს ჩამოჰგავს გამოზრტული ზურგის საგდულით, მოკვეთილი შუბლის კიდით და კომისურებით, მაგრამ უკანასკნელს უფრო ხშირი და წვრილი წიბოები, უფრო წესიერი მოყვანილობა და ზომიერი სისქე აქვს. *Rh. astieriana* d'Orb. var. *guebhardi* Jac. et Eall.-საგან განსხვავდება მეტი სიმეტრიულობით, თხემის უქონლობა აძნელებს უფრო ზუსტ შედარებას. აღსანიშნავია, რომ *Rh. astieriana* d'Orb. ასეთი ჯუჯა ფორმა არ არის, სკულპტურაც უფრო მკვეთრი აქვს და მისი ასიმეტრიულობაც ცხადად გამოსახულია. ჩამოჰგავს აგრეთვე *Rh. nuciformis* Sow.-ს ძლიერ გამოზრტული ზურგის საგდულით, კომისურების მოხაზულობით და შუბლის კიდით, მაგრამ უკანასკნელი უფრო წვრილწიბოიანია და უფრო მკვეთრად გამოსახული ნაწილები აქვს, აღწერილი ნიშუსი კი ტლანქ მონატებს ჩამოჰგავს. აღწერილი ნიშუსი წიბოთა რიცხვით, ზურგის საგდულის სისქით, კომისურებით და სინუსით უფრო მეტად *Rh. renauxiana* d'Orb.-ს ჰგავს, მაგრამ განსხვავდება მისგან საერთო იერიით და გარდა ამისა, თხემის უქონლობაც აძნელებს საკითხის გადაჭრას.

სადაურობა. დაღისტანი.

რიცხვი. 1 (№ 43—405).

ოჯახი TEREBRATULIDAE Gray 1840

გვარი *Terebratula* (Lhwyl) Klein 1753

Terebratula biplicata (Brocchi) Sow.

ტაბ. III. სურ. 1—1a-b. 2.

- 1851—55 *Terebratula biplicata* Davidson (7) გვ. 55—57, ტაბ. VI, სურ. 33—42; ტაბ. IX, სურ. 37.
 (8) გვ. 33, ტაბ. V, სურ. 1—2
 (14) გვ. 196, ტაბ. IV, სურ. 3—13.
 ქ. ნუცუბიძე (1) გვ. 166—170.
 ფოფხაძე [2] გვ. 47—49;

1874.	"	"
1937.	"	"
1945.	"	"
1949.	"	"

კოლექციაში თხუთმეტი ნიმუშია, რომელთა უმრავლესობა განსაზღვრული იყო, როგორც *Terebratula dutempleana* d'Orb. ერთი სრულიად განუსაზღვრელი აღმოჩნდა, ერთს *Ter. sella*-ს ეტიკეტი ჰქონდა და ერთიც სწორად იყო განსაზღვრული.

დასახელებული ნიმუშები სავსებით შესატყვისნი არიან პალეონტოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილ *Terebratula buplicata* (Brocchi) Sow.-ის.

ხადაურობა. დაღესტანი. გუნიბის და გუმბრის მიდამოების ცარცული კირქვები.

გავრცელება. ინგლისის ზედა აპტური, გოლტი, სენომანური, ასევე ევროპაში. საქართველოს აპტური კირქვები.

რიცხვი. 15 (№№ 43—133; 43—7; 43—8; 43—210; 43—308; 43—462; 43—137; 051—74).

Terebratula cf. buplicata var. *dutempleana* d'Orb.

ტაბ. III. სურ. 4—4 a-ბ.

1851—55. *Terebratula buplicata* Sow. var. *dutempleana* Dav. (7) გვ. 57,

ტაბ. VI, სურ. 1; 6—9.

1949. " " ფოფხაძე [2] გვ. 50—51.

ნიმუში შესატყვისია *Terebratula buplicata* Sow. var. *dutempleana* დევიდსონის და დ'ორბინის, აღწერისა და დასურათების მიხედვით, მაგრამ მცირე დაზიანების გამო განსაზღვრა მიახლოებითია.

ხადაურობა. დაღესტანი. გუნიბის მიდამოები. რიცხვი. 1 № 43—132).

გავრცელება. ინგლისის აპტური, გოლტი, სენომანი. საქართველოს და საფრანგეთის აპტური.

Terebratula sella Sow.

ტაბ. III. სურ. 3—3 a-ბ.

1851—55. *Terebratula sella* Davidson (7) გვ. 59, ტაბ. VIII, სურ. 4, 6, 9.

1910. *Terebratula sella* Kilian (12) გვ. 360, ტაბ. XII, სურ. 10.

1945. *Terebratula sella* ნუცუბიძე [1] გვ. 170.

1949. " " ფოფხაძე [2] გვ. 51—53.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე . . . 28 მმ, სიგანე . . . 24 მმ, სისქე . . . 15 მმ.

მომოხილვა. ჰ. აბიხის კოლექციაში ეს ნიმუში განსაზღვრული იყო, როგორც *Terebratula carteroniana* d'Orb, მაგრამ ის მოყვანილობით, ზომებით, მოკლე თხემით, ფორამენით, სიგრძივი ხაზებით, წერტილოვანი სტრუქტურით, შუბლის კიდის W-სებრი კომისურით და სხვა ნიშნებით შესატყვისია *Terebratula sella* Sow.-ს.

ხადაურობა. დაღესტანი. გუნიბი.

გავრცელება. ინგლისის აპტური, გოლტი და სენომანი; საფრანგეთის აპტური, ყირიმის ვალანტინური, ჰოტრიფული, ბარემული, აპტური.

რიცხვი. 1 (საქართველოს აპტური) (№ 051—90).


Terebratula sim. sella Sow. var. *upwarensis* Walker

ტაბ. IV. სურ. 4.

სიგრძე	22 მმ	17 მმ
სიგანე	21 „	12 „
სისქე	14 „	9 „

აღწერა. ნიმუში უფრო გრძელია, ვიდრე ფართო; ზრდადაუმთავრებელი ნიმუში მოგრძო ოვალურია, ხოლო დიდი ნიმუში ხუთკუთხოვანი, მას თხემი მოტეხილი აქვს. საგდულები თანაბარი ამობურცულობისაა. პატარა ნიმუშს ემჩნევა ქავლ-ხაზები; შერჩენილი ნიჟარის ნაწილებზე წერილ წერტილოვანი სტრუქტურა ჩანს. გვერდის კომისური ორივე ნიმუშზე სხვადასხვანაირია: ერთ მხარეზე ის ჯერ სწორია, მერე იხრება მუცლის საგდულისაკენ და ჩაღრმავების შემქმნელი მახვილი კუთხით დაშვებული შუბლის კიდისკენ; მეორე მხარეზე გვერდის კომისური ჯერ სწორია, მომრგვალებულად გახრილი მუცლის საგდულისაკენ და ნაკლები ჩაღრმავების წარმოქმნელი ბლაგვი კუთხით დაშვებული მუცლის საგდულისაკენ; შედეგად მუცლის საგდულის მხრიდან ცალი გვერდი ფრთასავითაა გაწეული, მეორე შეკვეცილს მოგვაგონებს. გვერდების ასიმეტრია პატარა ნიმუშსაც აქვს იმ განსხვავებით, რომ აქ შენაცვლებულია ბლაგვი და მახვილი კუთხის ადგილები. შუბლის კიდის კომისური ტალღებრივია. ზურგის საგდულის შუა ნაწილიდან შუბლის კიდისაკენ მოდის სამი წიბო, სინუსში კი, დატოტვის გამო უკვე ოთხი წიბოა. წიბოები საკმაოდ მსხვილია, მათ იქეთ-აქეთ დებრესიები მოსდევს და შემდეგ გვერდებზე კვლავ თითო წიბოა, შემდეგ სუსტი ჩაღრმავება და ისევ თითო წიბო. მუცლის საგდულის ქედზე 5 წიბოა იქეთ-აქეთ ღრმა უთანაბრო დებრესიები და შემდეგ წიბოსებრი თითო სალტე, ისე რომ არა მარტო გვერდებია ასიმეტრიული, არამედ მორთულობაც ასიმეტრიულია. ასეთივე, მაგრამ უფრო მარტივი მორთულობა აქვს შუბლის კიდესთან პატარა ნიმუშსაც; მისი თხემი სუსტადაა გადმოლუნული, თხემის ქედები მომრგვალებულია, არა მკვეთრად გამოყოფილი. ჩანს მთლიანი (?) ბუნდოვანი დელტიდიუმი. ნიმუშზე ჩანს ბუნდოვანი შუა ხაზი, ძნელი გასარკვევია ქავლხაზია თუ სეპტა. პატარა ნიმუშზე აქა-იქ შეიმჩნევა მკრთალი ზრდის ხაზები.

მიმოხილვა. აღწერილი ნიმუშები მოყვანილობით, რადიალური ქავლ-ხაზებით, შუბლის კიდის ნაოქ-წიბოებით, შუბლის კიდის და გვერდების ასიმეტრიულობით ძლიერ ჰგავს *Ter. sella* Sow. var. *upwarensis* Walker-ს, მაგრამ, დანამდვილებით მისდამი მიკუთვნება შეუძლებელია, ჯერ ერთი დიდი ნიმუშის დაზიანების გამო, და მეორეც ორივე ნიმუშზე არსებული საეჭვო შუა ხაზის გამო. შესაძლოა ის ქავლ-ხაზი იყოს, მაგრამ თუ სეპტა არის, მაშინ ნიმუშები სხვა გვარს მიეკუთვნება. სხვა გვართა ცნობილ წარმომადგენლებში ნიმუშები გარეგან მსგავსებას არ ამჟღავნებენ, შინაგანი აგებულების გასარკვევად კი საჭირო არის მეტი მასალა.

სადაურთობა. დაღისტანი. შუნუ-დაღის ნეოკომური აბიხის მიხედვით.
 რიცხვი. 2 (№№ 051—75; 051—76).

Terebratula praelonga Sow.

1847. *Terebratula praelonga* d'Orbigny (15) გვ. 75, ტაბ. 506, სურ. 1—7.
 1851. „ „ „ (7) გვ. 58, ტაბ. VIII, სურ. 1—2.

1874. *Terebratula praelonga* d'Orbigny (8) გვ. 37, ტაბ. III, სურ. 12
 1945 " " ნუტუბიძე [1] გვ. 170.
 1949 " cf. " ფოფხაძე [2] გვ. 53—54.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე	45 მმ	42 მმ
სიგანე	35 "	32 "
სისქე	23 "	22 "

მიმოხილვა. ნიმუშები კოლექციაში განსაზღვრული იყო, როგორც *Terebratula praelonga* Sow., რაც მართებულია, ვინაიდან ისინი თვისი მორფო-ლოგიკური ფორმით, ზურგის საგდულის შუბლის კიდის ორნაოქიანობით, მუცლის საგდულის ორსინუსიანობით და შუა ქედით, გადმოღუნული ბლავი თხემით, დიდი ფორამენით, კომისურთა მოყვანილობით ჰგვანან *Terebratula praelonga* Sow.-ს. მართალია, ეს ნიმუშები მსგავსია *Ter. buplicata* (Brocchi) Sow. და *Ter. sella* Sow.-ის, მაგრამ პირველისაგან განსხვავდება უფრო მორფო-ლოგიკური ფორმით და თანაბრად გამოზურცული საგდულებით, ხოლო *Ter. sella* უფრო მოკლე და განიერი ფორმაა და ოდნევა გაბრტყელებული შუბლის კიდე ათაღებული აქვს და მისი ნაოქებიც უფრო მკვეთრია. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, რომ ამ სამ სახეთა შორის შესაძლოა ერთმანეთთან დამაკავშირებელი ფორმების მონახვა, საფესებით გასაზიარებელია.

სადაურობა. დალისტანი.

გავრცელება. ინგლისის აპტური; საფრანგეთის ქვ. ნეოკომური; საქართველოს აპტური კირქვები.

რიცხვი. 14 (№ 43—9).

Terebratula cf. *praelonga* Sow.

- 1847 *Terebratula praelonga* d' Orb. (15) გვ. 75, ტაბ. 506, სურ. 1—7.
 1945 " " ნუტუბიძე [1] გვ. 170.
 1949 " " ფოფხაძე [2] გვ. 53—54.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე	29 მმ	25 მმ
სიგანე	21 "	20 "
სისქე	16 "	13 "

მიმოხილვა. კოლექციაში არსებული შვიდი ნიმუშიდან შვიდივე განსაზღვრულია, როგორც *Terebratula praelonga* Sow. მაგრამ, აქედან ერთი ნიმუში აშკარად *Terebratula sella*-ს ეკუთვნის, ერთი კი კითხვის ნიშნის ქვეშ; ორი მათგანი მიახლოებით განისაზღვრა, როგორც *Terebratula praelonga* Sow., ხოლო სამ ნიმუშს დაზიანებული აქვს ან შუბლის კიდე, ან თხემი და ძნელია გარკვევა მონათესავე სახეებიდან რომელს ეკუთვნის (051—78 და 051—83).

სადაურობა. დალისტანი, შუნუ-დალი (ნეოკომური ჰ. აბიხით).

რიცხვი. 2 (051—75; 051—80).


Terebratula semiglobosa Sow.

ტაბ. IV. სურ. 1—1 a-b.

1847. *Terebratula semiglobosa* d'Orb. (15) გვ. 105, ტაბ. 514, სურ. 1—4.
 1851—51 „ „ Davidson (7) გვ. 64, ტაბ. VIII, სურ. 6—18
 1949 „ „ ფოფხაძე [2] გვ. 62—63.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე . . .	25 მმ	24 მმ	20 მმ
სიგანე . . .	21 „	20 „	18 „
სისქე . . .	18 „	17 „	14 „

მიმოხილვა. ნიმუში განსაზღვრული იყო, როგორც *Terebratula semiglobosa* Sow. მართლაც, ის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებით ჰგავს ამ სახეობის დასურათებულ და აღწერილ ფორმებს, განსხვავდება მათგან შედარებით სწორი შუბლის კიდის კომისურით, თუმცა ასეთებიც ცნობილია (ტაბ. VIII, სურ. 11—11 ფ.); გარდა ამისა ამ ნიმუშს არა აქვს ისეთი მკაფიო თხემის ქედი, როგორც ეს სურათებზეა მოცემული.

სადაურობა. დალისტანი.

გავრცელება. თითქმის ყველა ავტორის მიხედვით სენომანური, ტურონული, სენონური.

რიცხვი. 1 (№43—433).

Terebratula semiglobosa Sow. var. *albensis* Leymerie

ტაბ. IV. სურ. 2—2 a-b, 3—3 a-b.

1851. *Terebratula semiglobosa* Sow. var. *albensis* Davidson (7) გვ.
 ტაბ. VIII, სურ. 13—13.

ზო მ ე ბ ი:

სიგრძე . . .	24 მმ	23 მმ	20 მმ
სიგანე . . .	18 „	18 „	17 „
სისქე . . .	13 „	12 „	12 „

